



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის

საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია

ქუთაისი  
2011

1. პროგრამის სახელწოდება: ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია
2. უმაღლესი განათლების საფეხური: მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ინჟინერიის მაგისტრი  
Master of Pharmaceutical Production Engineering

ანალოგიური პროგრამა: 1. STEVENS UNIVERSITY OF TECHNOLOGY. USA. [www.stevens.edu/](http://www.stevens.edu/)  
2. UNIVERSITY OF GREENWICH. UK. [www.gre.ac.uk/](http://www.gre.ac.uk/)  
3. NEW JERSEY INSTITUTE OF TECHNOLOGY. USA. [www.njit.edu/](http://www.njit.edu/)  
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. [www.gtu.edu.ge](http://www.gtu.edu.ge)

4. პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი / 3000 საათი (1 კრედიტს შეესაბამება 25 საათი)
5. სწავლების ენა: ქართული
6. პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ინგა ბოჭოიძე
7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:  
მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად პიროვნებას:
  - უნდა ჰქონდეს შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების ბაკალავრის კვალიფიკაცია (ან მისი ექვივალენტი);
  - ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში.

#### 8. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

**პროგრამის მიზანია:** მისცეს მაგისტრებს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; შეუქმნას მყარი საფუძველი ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების სფეროში; განუვითაროს მათ სამეცნიერო კვლევის ჩვევები. ისინი შეძლებენ, როგორც ცნობილი მეთოდოლოგიის გამოყენებას, ისე ახალი მეთოდის შემუშავებას; შეისწავლიან ფარმაცევტული პროდუქციის სინთეზისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მეთოდებს, დანადგარებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ქიმიურ-ფარმაცევტულ წარმოებაში, გაეცნობიან ახალი პროცესების, ოპერაციებისა და ტექნოლოგიების შემუშავების მეთოდებს. ისინი შეძლებენ: სამკურნალო საშუალებების წარმოების თანამედროვე ტენდენციებისა და ზოგადი პერსპექტივების განსაზღვრას, სინთეზის სტრატეგიის შერჩევას, საწარმოო ტექნოლოგიის მუდმივ განახლებას და განვითარებას სხვადასხვა ასპექტების (გარემოს დაცვა, ხარისხის უზრუნველყოფა, უსაფრთხოება და ა.შ) გათვალისწინებით.

#### აღნიშნული სპეციალობის მაგისტრის დასაქმების სფეროებია:

- ქიმიური და ფარმაცევტული საწარმოები, კორპორაციები და კომპანიები;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- სასწავლო დაწესებულებები;
- ფარმაცევტული პროდუქციის სერტიფიკაციის, სტანდარტიზაციის და ხარისხის კონტროლის სამსახურები.

9. სწავლის შედეგი:

კრიტერიუმი	სწავლის შედეგი
ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვთ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ფარმაცევტული ტექნოლოგიის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ.</p> <p>მაგისტრებმა სრულყოფილად და საფუძვლიანად იციან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-სამკურნალო ნივთიერებების სინთეზი, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს პრაქტიკულ მედიცინაში და იწარმოება ქიმიურ-ფარმაცევტულ საწარმოებში.</li> <li>-სამკურნალო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავება;</li> <li>-პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და რეალიზაციის მეთოდების შემუშავება;</li> <li>-ფარმაცევტული წარმოების პროცესში ნედლეულის, დამხმარე მასალების, აპარატების, მოწყობილობების, დანადგარების შერჩევა ეკოლოგიურად და ეკონომიურად მიზანშეწონილი გზების გამოყენებით;</li> <li>-ახალი სამკურნალო ნივთიერებების შექმნისა და გადამუშავების კვლევების დაგეგმვა უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით.</li> </ul> <p>გაცნობიერებული აქვთ სამკურნალო პროდუქციის მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების აუცილებლობა; ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გავლენა, როგორც წარმოების პროცესზე, ისე მიღებული პროდუქციის ხარისხზე.</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>მიღებული ცოდნა მათ დაეხმარებათ პრაქტიკული მიზნებისა და ამოცანების გაანალიზებაში და გადაწყვეტაში.</p> <p>მაგისტრებს უნარი აქვთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-დაგეგმონ და ჩაატარონ ექსპერიმენტები, ასევე მოახდინონ მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ქიმიური და ფარმაცევტული პროცესების შემუშავებასა და ანალიზში;</li> <li>-გამოკვეთონ პრობლემა და მოახდინონ მისი მეცნიერული გაანალიზება და გადაწყვეტა;</li> <li>-გამოიყენონ ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის თანამედროვე სისტემები და შეიმუშავონ ახალი მექანიზმები;</li> <li>-უზრუნველყონ ფარმაცევტული წარმოების ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხის შეფასება. ნედლეულისა და მასალების ეკონომიური გამოყენება, მათ შორის მეორადი გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის ჩათვლით.</li> </ul>

დასკვნის უნარი	<p>მაგისტრებს შეუძლიათ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების ანალიზი და პერსპექტივების განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიოში ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად;</li> <li>- განსაზღვრონ ქვეყნის პერსპექტივები დარგის განვითარების მიმართულებით;</li> <li>- საინჟინრო გადაწყვეტილებების კრიტიკული ანალიზი: უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით: მათემატიკური მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის სინთეზი და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენება, ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და მომზადება.</p>
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>- აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით შეუძლია სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა.</li> <li>- თეორიაზე დაყრდნობით მაგისტრანტები განივითარებენ ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს, დაეუფლებიან კვლევის პრინციპებს, რაც დაეხმარება მათ ისეთი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში, როგორცაა სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა და სწავლის გაგრძელების განსაზღვრა სწავლების შემდგომ საფეხურზე.</li> </ul>
ღირებულებები	<p>მათ აქვთ მაღალი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ფარმაცევტული პრეპარატების დამზადებისა და წარმოებისას იცავს პროფესიულ სტანდარტებს. შეუძლია თავისი დამოკიდებულების შეფასება, საკუთარი მიღწევების თვითკრიტიკული ანალიზი და სხვათა მიღწევების რეალური შეფასებისა და პატივისცემის თვისება; მონაწილეობს ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.</p>

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი (თხრობითი მეთოდი, ლექცია, სემინარი, ევრისტიკული (კითხვა-პასუხი) მეთოდი), წიგნზე მუშაობის მეთოდი (ახსნითი კითხვის მეთოდი, დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი), წერითი მუშაობის მეთოდი (კონსპექტი, სავარჯიშოები, საკონფერენციო თემა), ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები (სასწავლო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა).

პედაგოგი კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებს სწავლების შესაბამის მეთოდებს:

- სალექციო მეცადინეობებზე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია;
- პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, ელექტრონული მეთოდი;
- ლაბორატორიულ მეცადინეობებზე გამოიყენება: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება;
- დამოუკიდებელი მეცადინეობებისთვის გამოიყენება ევრისტიკული და ელექტრონული მეთოდები.

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების ჩაბარებას;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

## 11. სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსები/ მოდულები	კრედიტი	კრედიტები სემესტრების მიხედვით				ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათები
		I	II	III	IV	საკონტაქტო საათები					
						ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	შუალედური და საბოლოო შეფასება	დამოუკიდებელი საათები	
1. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	4	4				12	24		3	61	100
2. უცხო ენა-1 (დარგობრივი)	4	4					36		3	61	100
3. უცხო ენა-2 (დარგობრივი)	5		5				45		3	77	125
4. მათემატიკური მეთოდები ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში	4	4				12	24		3	61	100
5. სამკურნალო ნივთიერებების ქიმია-1	4	4				12		24	3	61	100
6. სამკურნალო ნივთიერებების ქიმია-2	5		5			15		30	3	77	125
7. ფარმაცევტული წარმოების მოწყობილობები	4	4				12	24		3	61	100
8. ფარმაკოლოგია და ფარმაკოთერაპია	8			8		30	30		3	137	200
9. გალენური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია	5		5			15		30	3	77	125
10. სინთეზური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია	5			5		15		30	3	77	125
11. წამლის ფორმათა სააფთიაქო ტექნოლოგია	5			5		15		30	3	77	125
12. თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები	5				5	15	30		3	77	125
13. ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის კონტროლი	5				5	15	30		3	77	125
14. ფარმაცევტული წარმოების ეკოლოგიური მენეჯმენტი	5				5	15	30		3	77	125
15. ფარმაცევტული წარმოების სამართლებრივი ასპექტები	3			3		15	15		3	42	75
16. სამეცნიერო წერის საფუძვლები	4	4				8	16		3	73	100
<b>არჩევითი:</b>	<b>10</b>		<b>5</b>		<b>5</b>				<b>6</b>	<b>154</b>	<b>250</b>
1.1. ეკოლოგიური ბიოქიმია			5			15	30		3	77	125
1.2. ფარმაკოგნოზია და ფიტოთერაპია			5			30	15				
2.1. ეთერზეთების ტექნოლოგია					5	15	30		3	77	125
2.2. პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქცია					5						
საწარმოო პრაქტიკა	5		5			100			3	22	125
სამაგისტრო დისერტაცია	30	6	5	9	10						750
		30	30	30	30						
		120									3000

## 12. სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის ბაკეუების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1. პედაგოგია და ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	X
2. უცხო ენა-1 (დარგობრივი)	X	X		X	X	
3. უცხო ენა-2 (დარგობრივი)	X	X		X	X	
4. მათემატიკური მეთოდები ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში	X	X	X		X	
5. სამკურნალო ნივთიერებების ქიმია-1	X	X	X		X	
6. სამკურნალო ნივთიერებების ქიმია-2	X	X	X		X	
7. ფარმაცევტული წარმოების მოწყობილობები	X	X	X		X	
8. ფარმაკოლოგია და ფარმაკოთერაპია	X	X	X			X
9. გალენური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია	X	X	X			X
10. სინთეზური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია	X	X	X			X
11. წამლის ფორმათა სააფთიაქო ტექნოლოგია	X	X	X			X
12. თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები	X	X	X			X
13. ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის კონტროლი	X	X	X			X
14. ფარმაცევტული წარმოების ეკოლოგიური მენეჯმენტი	X	X		X		X
15. ფარმაცევტული წარმოების სამართლებრივი ასპექტები	X	X	X			X
16. სამეცნიერო წერის საფ-ბი	X	X		X		X
<b>არჩევითი:</b>						
1. 1. ეკოლოგიური ბიოქიმია	X	X	X			
1.2. ფარმაკოგნოზია და ფიტოთერაპია	X	X	X			
2.1. ეთერზეთების ტექნოლოგია	X	X	X			
2.2. პარფუმერულ-კოსმეტიკური პროდუქცია	X	X	X			
საწარმოო პრაქტიკა	X	X	X	X		
სამაგისტრო დისერტაცია	X	X	X	X	X	X

### 13. ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებითა და აკადემიური საბჭოს 35; 10.11.2010 დადგენილებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

დადებითი შეფასება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

შეფასების სისტემა:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**14. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:**

<b>კურსი/მოდული/საგანი</b>	<b>სახელი, გვარი</b>	<b>კვალიფიკაცია</b>
1. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	ქეთევან მოწვინძე	ასოცირებული პროფესორი
2. უცხო ენა-1 (დარგობრივი)	უცხო ენების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი	
3. უცხო ენა-2 (დარგობრივი)		
4. მათემატიკური მეთოდები ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში	ვარდენ ხვედელიძე თამარ მოსეშვილი	პროფესორი ასოცირებული პროფესორი
5. სამკურნალო ნივთიერებების ქიმია-1	ინგა ბოჭოიძე	ასოცირებული პროფესორი
6. სამკურნალო ნივთიერებების ქიმია-2	ინგა ბოჭოიძე	ასოცირებული პროფესორი
7. ფარმაცევტული წარმოების მოწყობილობები	ვარდენ ხვედელიძე რაინდი ლომაია	პროფესორი აკადემიური დოქტორი
8. ფარმაცოლოგია და ფარმაცოთერაპია	მალვინა თათვიძე ქეთევან სირბილაძე	მოწვეული პედაგოგი (დოქტორანტი) მოწვეული პედაგოგი
9. გალენური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია	ვარდენ ხვედელიძე ლევან ყიფიანი	პროფესორი ასისტენტ პროფესორი
10. სინთეზური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია	მაკა ჯავახია ნინო ცუცქერიძე	ასისტენტ-პროფესორი აკადემიური დოქტორი
11. წამლის ფორმათა სააფთიაქო ტექნოლოგია	მანანა გაბიძაშვილი	მოწვეული პედაგოგი
12. თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები	ინგა ბოჭოიძე ნინო გულიეიშვილი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული პედაგოგი
13. ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის კონტროლი	ელენე გამყრელიძე მანანა გაბიძაშვილი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული პედაგოგი
14. ფარმაცევტული წარმოების ეკოლოგიური მენეჯმენტი	ციცინო თურქაძე	ასოცირებული პროფესორი
15. ფარმაცევტული წარმოების სამართლებრივი ასპექტები	ინგა ბოჭოიძე მანანა გაბიძაშვილი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული პედაგოგი
16. სამეცნიერო წერის საფ-ბი	ნესტან კუტივაძე	ასოცირებული პროფესორი
1.1. ეკოლოგიური ბიოქიმია	ციცინო თურქაძე ნინო სინაურიძე	ასოცირებული პროფესორი ბიოქიმიის მაგისტრი
1.2. ფარმაცოგნოზია და ფიტოთერაპია	ინგა მამაგვიშვილი	აკადემიური დოქტორი
2.1. ეთერზეთების ტექნოლოგია	ვარდენ ხვედელიძე	პროფესორი
2.2. პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქცია	ვარდენ ხვედელიძე თამილა გაბრიადე	პროფესორი დოქტორანტი

## 15. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

1. უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები;
2. უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
3. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილი დამხმარე მეთოდური მასალები;
4. ქიმიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის კაბინეტ-ლაბორატორიები;
5. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის და ქიმიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბიბლიოთეკა;
6. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები; პროფესიული ინტერნეტ-საიტების გაცნობის, მიმოხილვის და ანალიზის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის;
7. მულტიმედიური სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისი ტექნიკით გაწყობილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიები.

## XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა:

საწარმოო პრაქტიკის მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც საშუალებას მისცემს მაგისტრს დამოუკიდებლად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება რეალურ საწარმოო პირობებში.

საწარმოო პრაქტიკა ემსახურება მომავალი მაგისტრის პროფესიულ დაოსტატებას, რათა მან შეძლოს სხვადასხვა სამკურნალო ფორმების დამზადება, ექსპერიმენტების დაგეგმვა და განხორციელება; სხვადასხვა ტექნოლოგიური ამოცანის გადაწყვეტა, მათ შორის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; პროდუქციის ხარისხის შეფასება, ფარმაცევტული ტექნოლოგიის საწარმოების და ორგანიზაციების სტუქტურული ერთეულებში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობა, კავშირის დამყარება სფეროს სპეციალისტებთან და მათი გამოცდილების გაზიარება.

საწარმოო პრაქტიკის გავლა შესაძლებელია ქვეყანაში არსებულ წამყვან ფარმაცევტულ ორგანიზაციებში (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე). მაგისტრები საწარმოო პრაქტიკას გადიან, როგორც სააფთიაქო ქსელში, ისე ფარმაცევტულ საწარმოებსა და ბაზებში.

## XV. სამაგისტრო ნაშრომი (დისერტაცია)

სამაგისტრო ნაშრომი (დისერტაცია) წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი შინაარსის გამოსაშვებ საკვალიფიკაციო სამუშაოს. იგი უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერებისა და

კონკრეტული დარგის განვითარების თანამედროვე დონეს და თემა უნდა იყოს აქტუალური.

მაგისტრანტმა ნაშრომის შესრულებისა და დაცვის პროცესში უნდა აჩვენოს, რომ დამოუკიდებელად შეუძლია ზოგიერთი მეცნიერული ამოცანის დასმა და მისი გადაწყვეტის გზების შემოთავაზება, კარგად ხედავს დარგის კონკრეტულ პრობლემებს და იცნობს მათი გადაჭრის მეთოდებსა და გზებს.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, დაცვა და შეფასება ხორციელდება აწლს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გზამკვლევის შესაბამისად.